ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4607882

ნომერი: AR1696362

თარიღი : 23.07.2019

გაცემის თარიღი : 26.07.2019

გაცნობის თარიღი : 29.07.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 116ვ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მალხაზ გაბედავა პ/ნ 62004013261
- გულრიფში ს. მაჭარა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს: თქვენს მიერ არჩეული იქნა ნომეკლატურა I კლასი-ღია ავტოსადგომის მოწყობა ახალი მშენებლობა და მოთხოვნის ტექსტითაც მოთხოვნა დაყენებულია ავტო სადგომის მოწყობაზე, თუმცა წარმოდგენილი ფოტომონტაჟით დგინდება, რომ დაგეგმილია მსუბუქი კონსტრუქციის დახურული ავტოსადგომის - ავტო სამრეცხაოს მოწყობა რაც არ შეესაბამება არჩეულ ნომეკლატურას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენ მოთხოვნას, ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.